პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება	14 365.0	14 365.0	3 305.3	23.0 %	39 289.8

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 40 414 გასვლა;
- მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- გარემონტდა დიპლომატიური მისიების, მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 31 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური;
- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დაცული ობიექტებიდან შემოსულ განგაშებზე ოპერატიული რეაგირებისა და ობიექტების სრულყოფილი დაცვისათვის განხორციელდა MOTOROLA TETRA-ს რადიოსისტემის დანერგვა.
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის გარშემო და მიმდებარე ტერიტორიაზე (ავტოფარეხი, ავტოსადგომი №1 და პლაცი) (სავარაუდო მოცულობა 6670 კვ.მ.) ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები.